შპს სითბო SITBO Ltd

№11 27 თებერვალი 2014წ.

საკონკურსო წინადადება

საქართველოს ეროვნული არქივის გათბობისა და ცხელი წყლის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებაზე.

შ.პ.ს. „სითბო“, ს/კ **211338765**. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას#16. დაფუძნებულია 1997 წელს. მის სამუშაო სფეროს განეკუთვნება, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობებისათვის ეკონომიურად გამართლებული, მსოფლიო სტანდარტებით გათვალისწინებული თანამედროვე ენერგოეფექტური სისტემები. როგორიც არის გათბობა-ვენტილაციის, ჰაერის გაგრილების და სითბო-სიცივით მომარაგების პროექტების დამუშავება და შესაბამისად ამ დარგში სათანადო საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარება.

ფირმის მიერ ჩატარებულ გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის საპროექტო სამუშაოებს მიეკუთვნება:

1. ფილარმონის საკონცერტო დარბაზის გათბობა-გაგრილების და სავენტილაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტის დამუშავება.
2. სპორტის სასახლის გათბობა-გაგრილების და სავენტილაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტის დამუშავება.
3. საქაველოს ეროვნული მუზეუმის გათბობა-გაგრილების და სავენტილაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტის დამუშავება.
4. სასტუმრო „ჰოლიდეი-ინ“.
5. სატუმრო „რიქსოს თბილისი“ და „რიქსოს ლიკანი“.
6. სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“.
7. მრავალფუნქციური კომპლექსი „თბილისი მოლი“
8. საწარმო „ბარამბო“.

საქართველოს ეროვნული არქივის გათბობისა და ცხელი წყლის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმების შესაბამისად. ზამთრის გარე ჰაერის საანგარიშო ტემპერატურად მიღებულია -8°C . კიბის უჯრედებში, დერეფნებში და ეროვნული არქივის ცენტრალური შემოსასვლელი ჰოლის გათბობას უზრუნველყოფს ფოლადის პანელური ტიპის რადიატორები რომელთა სიმაღლეა 60სმ.

საპირფარეშოების გათბობა ხორციელდება პირსახოცის საშრობების საშუალებით. რადიატორებს და პირსახოცის საშრობებს ცხელი წყალი მიეწოდება, ჰიდრავლიკური ანგარიშის საფუძველზე შერჩეული სხვადასხვა დიამეტრის პოლიპროპილენის მილების საშუალებით. პოლიპროპილენის მილები, დანაკარგების შემცირების მიზნით შეფუთულია კაუჩუკის თბოიზოლაციით.

ცხელწყალმომარაგების სისტემისათვის ცხელი წყლის მომზადება ხდება საქვაბეში განთავსებული მოცულობითი ცხელწყალგამაცხელებელი ბოილერის და წყალი-წყალთან ტიპის ჩქაროსნული წყალგამაცხელებლის კომბინაციის საშუალებით.

საქვაბიდან შენობებამდე ცხელი წყლის მიწოდება ხდება, არქივის ეზოში დაპროექტებული თბოქსელის არხის საშუალებით.

შ.პ.ს. „სითბოს“ მიერ საქართველოს ეროვნული არქივის გათბობისა და ცხელი წყლის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ღირებულებაა 4750(ოთხიათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი დ.ღ.გ.-ის ჩათვლით.

შესასრულებელი სამუშაოების მიწოდების ვადაა 20 სამუშაო დღე.

საკონკურსო წერილს თან ერთვის კონკურსში მონაწილეობის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკონკურსო წინადადება ძალაშია, წარდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

შპს "სითბო"

ს/კ **211338765**
ს.ს "თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი
საბანკო კოდი (მფო)-TBCBGE 22
ა/ა GE80 TB06 0000 0016 4671 96/GEL

სიმონ ბარამიძე
დირექტორი